

განახლებულია 01.05.2026 წ.

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგრარული ტექნოლოგიები/Agrarian Technology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	აგრონომიის ბაკალავრი/Bachelor of Agronomy
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	დარეჯან ჯაში, ასოცირებული პროფესორი- darejan.jashi@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	<b>180 ECTS</b>
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები;</li> <li>✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;</li> <li>✓ მობილობის წესით ჩარიცხვა</li> </ul>
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ შეასწავლოს სტუდენტს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლები.</li> <li>✓ შეასწავლოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური და მიკრობიოლოგიური თავისებურებები; სოფლის მეურნეობის ტექნიკური საშუალებები; მცენარეთა მავნებელ-დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები; ახალი და გაუმჯობესებული ჯიშების შერჩევა და გამოყვანა; ნიადაგების ნაყოფიერების მართვის აგროწესები; სასოფლო სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები; ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტების წარმოება; მეფუტკრეობის, მეცხოველეობის და საკვებწარმოების ტექნოლოგიები.</li> <li>✓ შეასწავლოს სტუდენტს გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების პრინციპები; აგრომეტეოროლოგიური მეთოდები; აგროეკოლოგიური კანონზომიერებები; ორგანული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი პრინციპები და მეთოდები; საქართველოს მიწათმოქმედების თავისებურებები და სასოფლო სამეურნეო მელიორაციის ხერხები; სასათბურე მეურნეობები; უსაფრთხო სურსათის წარმოების პრინციპები; ტყის რესურსები და მისი მრავალფუნქციონალური სარგებლობის შესაძლებლობები; შრომის უსაფრთხოების პირობები და წესები;</li> <li>✓ მოამზადოს აგრარულ დარგში თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი</li> </ul>

	<p>სპეციალისტი, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება.</p>
<p><b>სწავლის შედეგები</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ ფლობს სასოფლო სამეურნეო კულტურების (კონტინენტური, სუბტროპიკული, ტექნიკური, ბოსტნეულ-ბაღჩეული და სხვ.) ბიოლოგიურ, ფიზიოლოგიურ და მიკრობიოლოგიურ თავისებურებებს, მათი მოვლა-მოყვანის თეორიულ საკითხებს, მასთან დაკავშირებული ზუსტი, ბუნებისმეტყველების, ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის, აგროეკოლოგიის, აგრომეტყველების, მცენარეთა დაცვის, სასურსათო უსაფრთხოების ორგანული მემცენარეობის გამოყენებით და ახდენს მათ გააზრებას.</li> <li>✓ იაზრებს მიწათმოქმედებასთან, მესათბურეობასთან, მელიორაციასთან, აგრომეტეოროლოგიასთან, მეცხოველეობა-მეფუტკრეობასთან და სოფლის მეურნეობის ტექნიკურ საშუალებებთან დაკავშირებულ ტექნოლოგიებს და მათ მნიშვნელობას.</li> <li>✓ ითავისებს აგრარული ტექნოლოგიებისათვის აუცილებელ წერით, კომუნიკაციურ, ინფორმაციულ მეთოდებსა და ძირითად საკითხებს</li> <li>✓ აცნობიერებს პროფესიულ და ეთიკურ პასუხისმგებლობებს; შრომის უსაფრთხოების მნიშვნელობას; აგრარულ და გარემოსდაცვით საკითხებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას.</li> <li>✓ ატარებს ნიადაგის ქიმიურ, ფიზიკურ და აგროქიმიურ კვლევებს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, ავლენს და ამოიცინობს მავნებლებს და დაავადებებს, აფასებს მეტეოროლოგიურ და კლიმატურ პირობებს. კვლევის შედეგების საფუძველზე აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს. დასკვნების საფუძველზე გეგმავს აგროტექნიკურ ღონისძიებებს.</li> <li>✓ გეგმავს სხვადასხვა სახეობის სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის ნაკვეთს; ამზადებს ღია და დახურულ გრუნტში სარგავ და გამრავლებისათვის საჭირო მასალებს (თესლს, საძირე, სამანყენე და სხვ.); არჩევს ნიადაგის დამუშავების, სათესი, სარგავი, მცენარეთა დაცვისათვის და მოსავლის აღებისათვის გამოსაყენებულ ტექნიკურ საშუალებებს; ახდენს მიზანმიმართულ და ეფექტურ გააადგილებას, არსებობისათვის და ზრდა-განვითარებისათვის მცენარეს უქმნის ოპტიმალურ პირობებს. უდანაკარგოდ იღებს მოსავალს.</li> <li>✓ იყენებს თანამედროვე აგრარული პრაქტიკისათვის აუცილებელ მეთოდებს (მათ შორის წერით, კომუნიკაციურ და სხვ.) ტექნიკასა და კომპიუტერულ პროგრამებს.</li> <li>✓ ახდენს აგროტექნოლოგიური პროცესების კონტროლს ხარისხის, ფუნქციური, ეკოლოგიური, ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით.</li> <li>✓ პროფესიული საქმიანობის პროცესში, ეთიკის მოთხოვნების, ეკოლოგიური და უსაფრთხოების პრინციპების დაცვით, მუშაობს ინდივიდუალურად ან გუნდში და ამ პროცესში სხვადასხვა ფორმითა და მეთოდით ამყარებს კომუნიკაციას</li> <li>✓ განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას.</li> </ul>